საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი

<u>2022 წლის მნიშვნელოვანი მიღწევები:</u>

- **უცხოურ უმაღლეს საგანმანათლებლო/კვლევით დაწესებულებებთან თანამშრომლობის ხელშეკრულების გაფორმება/განახლება:**

უცხოურ უმაღლეს საგანმანათლებლო და კვლევით დაწესებულებებთან ინსტიტუციური პარტნიორობის განვითარების, არსებული პარტნიორთა ქსელის გაფართოებისა და თანამშრომლობის სფეროების გამრავალფეროვნების მიზნი, დეპარტამენტმა უზრუნველყო ახალი პარტნიორი უნივერსიტეტებისა და ორგანიზაციების მოძიება. სხვადასხვა უცხოურ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან აქტიური მიმოწერისა და მოლაპარაკებების საფუძველზე განისაზღვრა ორმხრივი დაინტერესების სფეროები და საბოლოო ჯამში გაფორმდა/განახლდა ინსტიტუციური თანამშრომლობის 25 ხელშეკრულება/მემორანდუმი,

ასევე, ერაზმუს + (ICM) პროგრამების ფარგლებში მომზადდა 103 საგრანტო განაცხადი, რომელთაგან დაფინანსდა 77 (ICM) პროექტი.

- **საერთაშორისო საგანმანათლებლო ქსელებში უნივერსიტეტის გაწევრიანება:**

სხვადასხვა საგანმანათლებო საერთაშორისო ქსელებში უნივერსიტეტის გაწევრიანების მიზნით მომზადდა განაცხადის პაკეტი და 2022 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი გაწევრიანდა უმსხვილეს საერთაშორისო ორგანიზაციაში UNICA.

ასევე, უზრუნველყოფილი იქნა უმაღლესი განათლების საერთაშორისო ორგანიზაციებში (ევროპის უნივერსიტეტთ ასოციაცია /EUA, საერთაშორისო უნივერსიტეტების ასოციაცია/IAU, შავი ზღვის უნივერსიტეტთა ასოციაცია/BSUN, ფრანკოფონიის საუნივერსიტეტო სააგენტო/AUF, კომპოსტელას უნივერსიტეტების ჯგუფი (GCU), ევრაზიის უნივერსიტეტების კავშირი (EURAS), თსუ-ს წევრობის ყოველწლიურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ადმინისტრაციული პროცედურების წარმართვა (კომუნიკაციის წარმოება, ფინანსური ანგარიშგება და ა.შ.).

- **საერთაშორისო პროექტების მართვა და მის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების განხორციელება**

წლის განმავლობაში დეპარტამენტმა ადმინისტრირება გაუწია ერაზმუს + საერთაშორისო კრედიტ მობილობის 184 (ICM) პროექტს

- **გაცვლითი პროგრამების ფარგლებში თსუ-ს სტუდენტებისა და პერსონალის შესარჩევი კონკურსების ორგანიზება:**

დეპარტამენტმა უზრუნველყო თსუ-ს სტუდენტებისა და პერსონალის შესარჩევი 80-მდე კონკურსის ჩატარება, ერაზმუს პლიუსის საერთაშორისო კრედიტ-

მობილობის პროგრამებისა და პარტნიორ უნივერსიტეტებთან გაფორმებული თანამშრომლობის ხელშეკრულებების ფარგლებში გამოყოფილი სტიპენდიების მისანიჭებლად. კონკურსების შედეგად სტიპენდია მოიპოვა 159-მა სტუდენტმა და 100-მა პერსონალმა.

ასევე, დეპარტამენტის ორგანიზებით წლის განმავლობაში 2-ჯერ ჩატარდა ტესტირება 8 უცხო ენაში, რომელზეც დარეგისტრირებული იყო 946 სტუდენტი.

- **უცხოელი სტუდენტების თსუ-ში მობილობის კოორდინირება**

ერაზმუს + (ICM) პროგრამების ფარგლებში 2022 წლის გაზაფხულისა და შემოდგომის სემესტრებში დეპარტამენტმა კოორდინირება გაუწია 96 უცხოელი სტუდენტის და 93 აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალის თსუ-ში მობილობას და უზრუნველყო მათი ინტეგრირება პროფილურ ფაკულტეტებზე, კერძოდ: სასწავლო ხელშეკრულებების მომზადება; ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა, რომლის ფარგლებშიც შეთავაზებული იქნა 210 ინგლისურენოვანი სასწავლო კურსი მათი აკადემიური სფეროს შესაბამისად არჩევის მიზნით; საორიენტაციო დღეების და ტრენინგების ორგანიზება; დაბინავების ხელშეწყობა.

- **გრძელვადიანი უცხოელი [native speaker] ლექტორების ჩამოყვანა თსუ-ში**

დეპარტამენტმა კოორდინირება გაუწია გრძელვადიანად 8 უცხოელი პედაგოგის ჩამოყვანას თსუ-ში (პორტუგალიური, ესპანური, ბასკური, გერმანული, იტალიური, ჩეხური, უნგრული ენების პედაგოგები ჰუმანიტარულ მეც. ფაკულტეტზე და ფრანგი ლექტორი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე) აკადემიური საქმიანობის მიზნით და მათ ინტეგრირებას პროფილურ ფაკულტეტებზე.

- **საზღვარგარეთ განსახორციელებელი საქმიანი ვიზიტების კოორდინირება**

დეპარტამენტმა ორგანიზება გაუწია თსუ-ის რექტორისა და ადმინისტრაციული პერსონალის 26 საქმიანი ვიზიტის განხორციელებას საზღვარგარეთ.

- **უცხოელი სტუმრების მიღება თსუ-ში**

წლის განმავლობაში დეპარტამენტმა ორგანიზება გაუწია პარტნიორი უნივერსიტეტებიდან მრავალი დელეგაციის მიღება-მასპინძლობას, ასევე ათეულობით უცხოელი სტუმრის საქმიან ვიზიტს თსუ-ში, რაც მიზნად ისახავდა სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივების განხილვას.